პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 ოთხშაბათი 9 აპრილი № 83 (16209) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის დამლევამდე

266 დღე დარჩენილი

120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება—ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

საქართველოს მეჩაიეთა პირობა: ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოკრიფონ და გადაამუშაონ 315-320 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

მომზადებული შევხვდეთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ალოგას!

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

5 აპრილს ქუთაისში გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება, რომელზეც განიხილეს 1974 წლის სეზონის შედეგები და მომდინარე სეზონის ამოცანები. შეკრებაში მონაწილეობდნენ მოწინავე მეჩაიეები, სპეციალისტები, მეჩაიეობის მეურნეობათა ხელმძღვანელები, ჩაის მრეწველობის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკები.

შეკრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. ჯაფარიშვილი, ჯ. ი. პატარაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ფ. კ. შარმაგა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაშაძე, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ბ. დ. ჯაფარიშვილმა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში შეკრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეთაურობით.

მოხსენებანი გააკეთეს საქართველოს სსრ ხოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ა. ჯიმანავამ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა რ. ჰ. კოტეელიძემ.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. ბაბუნიძე, ზუგდიდის რაიონის ხეცერის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ქ. თ. ბიგბაშვა, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მ. მარშანია, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ე. ს. მალაზონია, გეგეჭკორის რაიონის სოფელ თამაკონის კოლმეურნეობა „შრომის დროშის“ თავმჯდომარე ბ. ვ. ფირცხალავა, ლანჩხუთის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ა. ღლონტი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ლ. გვასალია. საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, ოჩამჩირის ჩაის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ლ. მ. ხარებავა, საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ბ. ნაბუღებია, წოლეწყაროს რაიონის გამარჯვების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ა. ფიროსმანაშვილი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ფ. კ. შარმაგა, ბოტანი მ. ს. ლებანიძე, ჩოხატაურის რაიონის ჭიქონაის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი პ. თ. კუტუბიძე, ორსაბურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა — ჩაის მკრეფავი ე. მ. კიკნაძე, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჭონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ა. ჟაღიეშვილი.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკისადმი, რომელშიც მოუწოდებენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სეზონში **მოკრიფონ და გადაამუშაონ 315-320 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ამასთან გააუმჯობესონ ქართული ჩაის ხარისხი.**

ქარბი ტრადიცია დამკვიდრდა ქართველ მეჩაიეთა შორის: ყოველ წელს, მოსავლის აღების წინ იკრიბებიან, რათა კიდევ ერთხელ შეაჯამონ გასული ალოგის შედეგები, დასახონ ახალი სეზონის მიზნები. მეჩაიეთა ასეთი შეხვედრები ჩაის უხვი მოსავლისათვის სიმებრძოლველად მზაყოფნის თავისებური დათვალიერება გახდა. დიდად სიმბოლურია ისიც, რომ ამ ტრადიციული შეკრებების მუშაობაში, რომლებზეც უმთავრესად იმართება სკკპ-ბაასი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზებზე, მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკები, მუშათა კლასის წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ყველას დიდი სურვილი აქვს დაეხმაროს სახელოვან მეჩაიეებს მათს კეთილშობილურ შრომაში.

ახლანდელ შეკრებაზე მეჩაიეები ჩამოვიდნენ ჯარგი გუნება-განწყობილებით, თავიანთი ძალების რწმენით. შარშან ოქროს ფურცელი ჩაწერეს მეჩაიეობის ისტორიაში მწვანე პლანტაციების მშრომელებმა. დაგეგიანებული გაზაფხულის. მოსავლის აღებისათვის არაჩვეულებრივი ამინდის პირობების მიუხედავად. მათ **პირნათლად შეასრულეს სამშობლოსა და პარტიისათვის მიცემული სიტყვა — სახელმწიფოს ჩაბარეს 312 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ასეთი მაჩვენებლები რესპუბლიკის მეჩაიეებს არასოდეს არ ჰქონიათ წინათ.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიერ ქართველ მეჩაიეთა **გმირული შრომის მაღალმა შეფასებამ ახალი მიღწევებისათვის აღაფრთოვანა რესპუბლიკის ყველა მშრომელი.**

ხუთწლედის გასამსაზღვრელი წლის შედეგებს რომ ვაჯამებთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მეჩაიეთა დიდი შრომითი გამარჯვების მიღწევაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩაის მრეწველობის, ტრანსპორტის, დამზადების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმა. ეს გამარჯვება იმ უდიდესი დახმარების შედეგია, რომელსაც ყოველთვის უწევს სოფელს სახელოვანი მუშათა კლასი, მშრომელი ინტელიგენცია. აქ ახალი ძალით გამოვლინდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ლენინური სტილის და პოლიტიკური კურსის ცხოველმყოფელი ძალა.

იქაში, რომ 1974 წელს მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკას მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, დიდია ქართველ მეჩაიეთა შრომის წვლილი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მოკრეფილია 209,3 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 190,2 ათასი ტონის ნაცვლად. საბჭოთა მეურნეობებში კი მოიკრიფა 79,7 ათასი ტონა ნედლეული, გეგმით გათვალისწინებული 72,4 ათასი ტონის ნაცვლად. 110 პროცენტით შესრულეს წლიური დავალებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებმა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოკრეფილი ნედლეულის საერთო რაოდენობაში პირველხარისხოვანი ჩაის ფოთლის ხვედრითმა წონამ შეადგინა 68 პროცენტი, მაშინ როცა 1973 წელს ეს მაჩვენებელი 60 პროცენტს არ აღემატებოდა.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ ქართველ მეჩაიეთა საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს მწვანე პლანტაციების ახალგაზრდა მშრომელებმა. შარშან რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში შრომობდა 150 ათასი კომკავშირელი და ახალგაზრდა მეჩაიე. მათ მოკრიფეს 200 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 1.300 ახალგაზრდა მეჩაიე და 24 კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, რომლებმაც სამ წელიწადში ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი დავალება, შრომობდა მომდევნო ხუთწლეულის ანგარიშში. ჩაის მოსავლის კრეფაში მეურნეობებს ეხმარებოდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდა ენთუზიასტები — სტუდენტები, ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლების მოსწავლეები.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ყველაფერი იღონონ იმისათვის, რათა ჩაის ალოობის ინტერესებით ყოველ წელიწადს ცხოვრობდეს სოფლის ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, რომელმაც შარშან მიაღწია 5.300 კილოგრამს. ამ დიდმნიშვნელოვანმა მაჩვენებელმა კოლმეურნეობაში შეადგინა ჰექტარზე 5.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. საბჭოთა მეურნეობებში კი — 4.430 კილოგრამი. საუკეთესო შედეგები აქვთ წარმოებულ ჩაის ლანჩხუთის, ზუგდიდის, ზანაურის, ბაზისა, ხელვაჩაურის, ზუგდიდის მეჩაიეებს. რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში წლითიწლით ზრდიან ჰექტარობრივ მოსავლიანობას და აღწევენ რეკორდულ მაჩვენებლებს. მაგალითად. **ვალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ მოიწეფა 9.848 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ანკვის კოლმეურნეობაში — 8.803 კილოგრამი, სადაც ამავე დროს ჩაის ფოთლის 69,8 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.**

უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზალენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა. მათ რესპუბლიკაში პირველებმა შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი დავალება.

ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებისათვის. მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებმა. შარშან მათ მოკრიფეს 67.253 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით ვათვალისწინებული 61.326 ტონის ნაცვლად, რამაც შეადგინა რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში მოწეული მთელი მოსავლის 23 პროცენტი. ხუთწლედის ოთხ წელიწადში გეგმის გადაჭარბებით მოიკრიფა 92.408 ტონა ხარისხოვანი ნედლეული და მეცხრე ხუთწლედის დავალების შესასრულებლად უნდა მოიკრიფოს მხოლოდ 31.522 ტონა ჩაი. მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს **ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის, მოკრიფონ და სახელმწიფოს დავალების გადამეტებით ჩაბარონ 35.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.**

მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მარტო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, არამედ გაუმჯობესდა მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი. 1971-1973 წლებთან შედარებით, პირველხარისხოვანი ნედლეულის რაოდენობა მოკრეფილი მოსავლის საერთო მასაში გაიზარდა 3,7 პროცენტით. დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამ მიმართულებით ჩაქვის, ცეცხლაურის, მზიურის, თბილნარის, ლანჩხუთის, ზემო ბარღების, ნარეჯის საბჭოთა მეურნეობებმა, სადაც პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის ხვედრითი წონა მოკრეფილი ნედლეულის საერთო რაოდენობაში 69-74 პროცენტს შეადგენს.

ქართული ჩაის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში ყველა ამ მნიშვნელოვან წარმატებათა ფონზე არ შეიძლება არ შევნიშნოთ ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ჩაის ფრონტზე ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი პლანტაციების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

დრო ბოლო მოეღოს დაუხრულებელ მსჯელობას ჩაის პლანტაციების ხიმეჩხრის ლიკვიდაციის შესახებ, აღნიშნეს შეკრების მონაწილეებმა. გამეჩხრებული ნაკვეთები დღემდე ათასობით ჰექტარს შეადგენს. ეს დიდი ხნის მტკივნეული პრობლემა ჯერაც არ გადაწყვეტილა. ფაქტიურად მივიწყებულია 60-იანი წლების ახალგაზრდა მეჩაიეთა ინიციატივა, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა ჩაის პლანტაციების მწკრივთშორისების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის.

ჩაის წარმოების გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია მწვანე ჩაის ფოთლის ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდება. ამასთან რესპუბლიკის 440 მეჩაიეობის კოლმეურნეობიდან 188 კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ მცირე მოსავალს იწევენ. ასეთივე სურათია რესპუბლიკის 51 საბჭოთა მეურნეობიდან 17 მეურნეობაში, სადაც 15.300 ჰექტარი პლანტაციიდან იწევენ უფრო ნაკლებ მოსავალს, ვიდრე საშუალოდ რაიონებში. გარდა ამისა, ჩაის ფოთლის ჰექტარობრივი მოსავლიანობა საბჭოთა მეურნეობებში 13,2 ცენტნერით ნაკლებია, ვიდრე კოლმეურნეობებში. არსებული რეზერვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თვითეულ მეჩაიეობის კოლმეურნეობაში საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის გაზრდა შესაბამისი რაიონის საშუალო მაჩვენებლამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობების პლანტაციების ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდება კოლმეურნეობების დონემდე დამატებით მოგვცემდა 42.700 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, რაც 33 მილიონი მანეთით გაადიდებს ჩაისაგან მიღებულ შემოსავალს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, აღინიშნა შეკრებაზე, იმას, რომ საჭიროა ჩაის პლანტაციების შემდგომი გაფართოება. ამისათვის რეზერვები გვაქვს, მაგრამ მათ ეფექტურად ვიყენებთ, ეს აიხსნება ძირითადად კოლეგიის დაბრობის ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომებით. კოლეგიის ახლად ათვისებულ მიწებზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მოსავლიანობის მაჩვენებლები დაბალია. ეს იმის შედეგია, რომ აქ მრავალწლოვანი კულტურების პლანტაციებს აშენებდნენ ნაჩქარევად, დიდი მასშტაბით — ყოველწლიურად 150-200 ჰექტარ მიწის მასივებზე. ისე, რომ წინასწარ არ სწავლობდნენ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, ახალგაზრდა ჩაის პლანტაციების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა დონე დაბალი იყო: გასაკვირი როდია, რომ ახალგაზრდა პლანტაციები დაბარდულია, დიდია მათი სიმეჩხრე, ნარგავები დაავიანებენ შედეგ ექსპლოატაციაში და მცირე მოსავალს იძლევა. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ხობის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთი“. ამ მეურნეობას აქვს 455 ჰექტარი ახალგაზრდა ფოთოლსაკრეფი პლანტაციები, და მეოხედადად იწისა, რომ საბჭოთა მეურნეობისათვის ოდგევმილია ეროვნ ისეთი უხვი მოსავალი ჰექტარზე — 35 ცენტნერი. იგი ვერ ასრულებს დავალებას. 1974 წელს აქ ვათვალისწინებული 170 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს მხოლოდ 46 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი — ვიგემის 27 პროცენტი. ცენტნერი ნედლეულის თვითღირებულებამ შეადგინა 266 მანეთი და 70 კაპიკი, ეს 4.5-ჯერ მეტია საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელზე. ანალოგიური მოგვმარეობაა ეარეთვე ხუმლშქერის, კინდღის, ვედიდკარის საბჭოთა მეურნეობებში.

1971 წელს დამტკიცებული კოლეგიის მიწების ათვისების რეკომენდაციების თანახმად, მრავალწლოვანი კულტურების გაშენება უნდა მობდეს გაკულტურულების 2-3-წლიანი ციკლის შემდეგ. მაგრამ იმის გამო, რომ აქ ყოველწლიურად არ ამზადებდნენ 1900 ჰექტარ თართობს ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. საბჭოთა მეურნეობანი იძულებული იყვნენ ჩაი და სხვა მრავალწლოვანი კულტურები დარგათ ახლად დაშრობილ მიწებზე. ასეთი უკანონობის შედეგები დღეს თავს იჩენენ — იღუპება ახალგაზრდა პლანტაციები.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ყოფილი მეომარი—ვასტეზე

ლევან ჩხეიძის მუშური ბიოგრაფია დიდ ხამამულო ომამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო. ის უკვე კარგ ხარატად ითვლებოდა, როცა დადგა მრისხანე ქამი, როცა ფაშისტთა ურდოები თავს დასხმნენ ჩვენს ქვეყანას. ჭაბუკი უყოყმანოდ წავიდა სამშობლოს დასაცავად.

მოსკოვიდან ბერლინამდე — ასეთია რიგითი ჯარისკაცის ლევან ჩხეიძის სამრძოლო გზა.

დადგა ფაშიზმზე გამარჯვების დღე. გამარჯვებული მეომრები მშობლიურ მხარეში ბრუნდებოდნენ. მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა ლევან ჩხეიძეც. მკერდს უმშვენებდა ორი დიდების ორდენი, მედლები „სამრძოლო დამსახურებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“.

ახლა სამშობლოს გამოცდილი მუშები სჭირდებოდა, და ყოფილმა მეომარმა მუშობა დაიწყო თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. მალე იგი მოწინავე წარმოების მუშაკთა რიგში ჩადგა და დღესაც ნაყოფიერად შრომობს. თავისი პირადი ხუთწლედი მან ოთხ წელიწადში შეასრულა და ახლა წარმატებით დგას დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე.

სურათზე: მოწინავე ხარატი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ლევან ჩხეიძე.

ფ. ბრმისაისა და ე. მგინოშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სტუდენტთა საზოგადოებრივ ყოფაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ. ამ საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა შესრულდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, რამდენადმე განმტკიცდა სტუდენტთა სასადილოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ზოგიერთ მათგანში გაიზარდა ადგილების რიცხვი. ინერგება მომსახურების პროგრესული ფორმები, უმჯობესდება კერძის მომზადების ხარისხი. ეთერო მრავალფეროვანი ხდება მისი ასორტიმენტი. შედარებით კარგად არის ორგანიზებული საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის, ზოგიერთი სხვა სასწავლებლის სტუდენტთა კვება. საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტს აქვს დამხმარე მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს სასადილოს მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის მთელ რიგ პროდუქტებზე.

ამასთანავე, როგორც ნახულმუდა დადგენილებაში, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. დამაკმაყოფილებლად არ სრულდება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ანალიზის გვიჩვენებს, რომ ფეოდალ-ბურჟუაზიულ ეპოქაში ბევრ უმაღლეს სასწავლებელში თითქმის სრულიად არ ზრუნავენ საღამოს სწავლების სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისათვის. მაგალითად, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ სასწავლო კორპუსში, სადაც საღამოს განაყოფიერებაზე ორი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს, ბუფეტიც კი არ არის. მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებს ვერც კი უსარგებლათ სასადილოებით ამის გამო, რომ შორს არის სასწავლო კორპუსებიდან (სამედიცინო ინსტიტუტი, სოხუმის, ბათუმის, გორის პედაგოგიური ინსტიტუტები).

ზოგიერთი სტუდენტთა სასადილო და ბუფეტი დიდხანს არის ხოლმე დახურული სარემონტოდ. მათ ნაცვლად კი მოწყობილი არ არის საზოგადოებრივი კვების დროებითი საწარმოები, რომლებიც თუნდაც ბუფეტის პროდუქციით ეკმაყოფილებენ. მაგალითად, გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (რექტორი შ. ხანთაძე), პარტბიუროს მდივანი ლ. ლომსაძე, პროფკომის თავმჯდომარე დ. ძიძიგური) უკვე ექვს თვეზე მეტია არ მუშაობს ბუფეტი, რომელიც რემონტთან დაკავშირებით დაიხურა. საქართველოს სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო ინსტიტუტის (რექტორი რ. ჩხაიძე, პარტბიუროს მდივანი ვ. სახეიშვილი, პროფკომის თავმჯდომარე ბ. ადამიძე). საურთო საცხოვრებლის სასადილო 1973 წლიდან დახურულია სარემონტოდ და ასობით ან მცხოვრები სტუდენტი მოკლებულია ცხელ საჭმელს.

ლების მოსწავლეთა მატერიალური და სანიტარო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

(დასასრული მე-2 გვ.).

ნლეულს სარეკორდო უნდა იყოს ჩაის კრეფისა და გადამუშავების რაოდენობაც და ხარისხიც!

ეს საქართველოს მეჩაიეთა დიდი პატრიოტული მოვალეობაა, ჩვენი დიდრსებისა და სახელის საქმეა!

ჰაეროვანი ალმავლობით

კანდიდატების დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში

ლენტეხის რაიონის და ლენტეხის კოლმეურნეობის წევრი ე. ს. ლიპარტელიანი ამ კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლენტეხის რაიონის № 256 ლენტეხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ბიბისართა ფოთის ელექტროაპარატების ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელშიც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატის დასახელების საკითხი. გადაწყვეტილია ქალაქ ფოთის № 322 რუსთაველის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეკომენდაცია მისცენ ქარხნის ელექტრიკოსს ვ. ა. ანთაძეს.

ფოთის ელექტროაპარატების ქარხნის კომკავშირის პირველადმა ორგანიზაციამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ფოთის № 323 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეკომენდაცია მისცა ქარხნის ამწყობ ზეინკალს ნ. დ. ბატიევს.

თეთრი წყაროს საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა საერთო კრებაზე გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს რაიონის № 135 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში თავის წარმომადგენლად გიგა ზაზოს ამ სკოლის პედაგოგი ქ. ი. ცხვედიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს რაიონის № 136 მანგლისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში ფეხსაცმლის ფაბრიკის „ისნის“ დაბა მანგლისის ფილიალის მუშა-მოსამსახურეებმა რეკომენდაცია მისცეს ფილიალის მოწინავე მუშას ე. მ. მანანკოს.

ზანაურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ზანაურის რაიონის № 397 ზანაურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეკომენდაცია მისცეს ამ საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშას შ. ს. ოსიტაშვილს.

კანდიდატების დასახელება მუშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიებში

მთავრდება რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადა. უკვე განსაზღვრულია არჩევნების დღე, ორი წელი—ასეთია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების ვადა. ადგილობრივი საბჭოების ახლანდელი შემადგენლობის საქმიანობის პერიოდი—ეს არის ორი წლის მუშაობა XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების შესასრულებლად. ეს წლები აღინიშნა შემდგომი წარმატებებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნით სახალხო ხელისუფლების უველაზე მასობრივ ორგანოებს — ადგილობრივ საბჭოებს. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე განუზომლად მაღლდება საბჭოების მნიშვნელობა, მათი პასუხისმგებლობა საქმის მდგომარეობისათვის ცხოვრების ყველა დარგში. მათ დაკისრებული აქვთ დიდმნიშვნელოვანი როლი იმ ამოცანათა შესრულებაში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. უკანასკნელი წლების მანძილზე ხორციელდება მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელისუფლების ამ წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას. მათ გამოხატულება პოვეს საბჭოებისა და დეპუტატების სტატუსის შესახებ კანონების მიღებით.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება — ეს ამავე დროს მათი საქმიანობის დათვალიერება, თვითეული საბჭოს სეროზული გამოცდა. ახლა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო კრებები, რომლებიც ეძღვნება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიებში კანდიდატების დასახელებას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ალინიხილეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიაში ჯანდიდატის დასახელების საკითხი. მათ გადწყვიტეს ამ კომისიის მუშადგენლობაში დასახელონ ამ ქარხნის მოწინავე მუშა ვ. ვ. ჩუბარეკა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტებმა გადწყვიტეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიაში ალ. ბ. ბ. ბ

მოამზადებული შევხვდეთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ალიბას!

(დასასრული)

ელექტროენერგეტიკის დარგში ბევრ ადგილზე ადგილობრივ ორგანიზაციებს ეკისრებოდ ეფექტიანობა ავამაღლოთ ელექტროენერგიის ხარჯვა-გადაცემის ეფექტიანობა, ეფექტურად ვიმუშაოთ ელექტროენერგეტიკის ობიექტებზე, ავაშენოთ ელექტროენერგეტიკის ობიექტები ადგილობრივ ორგანიზაციებზე

ჟურნალისტის დღეს

ფოტოინფორმაცია

იაპონია. თოქიოს უოველდღე შედიან ჭ. ნიიგატას ნავსადგურში საბჭოთა გემები. მათ საბჭოთა ზღვისპირეთის ნავსადგურებიდან მოაქვთ ხე-ტყე, ქვანახშირი და სხვა ტვირთები.

ნურათზე: საბჭოთა ხეტყემზიდი „ელტონი“ ნიიგატას ნავსადგურში.

საკდენის ფოტო.

ლონდონი

კამათი პარლამენტში „საერთო ბაზრის“ გარშემო

ქენკარა

პრემიერ-მინისტრის საპროგრამო განცხადება

ამბები • ფაქტები

საკვები და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ბანგკოკი, 7 აპრილი. (საკადრო). ძალზე დაიძაბა ბრძოლები კამბოჯის დედაქალაქისათვის. დღეს პატრიოტებმა მთელი რიგი წარმატებული იერიშები მიიტანეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

პნომპენის რჩეულმა ძალებმა, რომლებსაც თავდაცვითი ზღუდე ეჭირათ სამხრეთ დასავლეთიდან დედაქალაქისაკენ მიმავალი დიდმნიშვნელოვანი № 4 გზატკეცილის გასწვრივ, დღეს უკან დაიხიეს 28 კილომეტრიდან 23-ე კილომეტრზე და ორი დასახლებული პუნქტი დატოვეს.

პატრიოტთა ქვეგანყოფები ძლიერებენ შეტევას ლონ-ნოლის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც პოზენტონზის აეროდრომს იცავენ. ფრონტის მთელ რიგ უბნებზე პატრიოტები კიდევ უფრო მიუახლოვდნენ აეროდრომს, რომელსაც განუწყვეტლივ უშენენ რაკეტებსა და არტილერიის ცეცხლს.

პნომპენის ჩრდილოეთით განსაკუთრებით გაფუთრებული ბრძოლები მიმდინარეობს № 5 გზატკეცილის უბნების ხელში ჩაგდებისათვის მე-11 კილომეტრის რაიონში.

გასულ კვირას პრეკნეაკლოუნგის განთავისუფლების შემდეგ, რომელიც პნომპენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, პატრიოტულმა ძალებმა გაძაკგუფების შემდეგ ფრონტალური შეტევები დაიწყეს სამხრეთიდან. უკანასკნელი ცნობებით, ახლა ისინი 14-15 კილომეტრზე იმყოფებიან დედაქალაქის ცენტრიდან და კვლავ ავითარებენ შეტევას.

როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, პნომპენში გაიმართა უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირების საგანგებო საიდუმლო თათბირი, რომელზეც განიხილეს კრიზისული მდგომარეობა კამბოჯის ალყაშემორტყმული დედაქალაქის ფრონტებზე.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პატრიოტები უტევენ

პანი, 8 აპრილი. (საკადრო). სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები კვლავ უტევენ საიგონის არმიის გამაგრებული პუნქტების სისტემას მეკონგის დელტის დასავლეთში საიგონის სამხრეთით. გუშინ სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა პარტიზანებთან ერთად რაკეტის, ნაღმსატყორცნისა და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგის 110-ზე მეტ სამხედრო ობიექტს, შეუტიეს საიგონის ჯარებს 19 პუნქტში. მათ გადაჭრეს მთელი რიგი გზატკეცილები და ჩაძირეს დიდი ბორანი, რომელზეც იყო რამდენიმე ათეული ჯავშანტრანსპორტიორი და სამხედრო სატვირთო მანქანა.

თხიეუმ გამოაცხადა, რომ საიგონში შემოდებულია საღამოობამდე 7 საათიანი საათი. ქალაქის მცხოვრებლებს აეკრძალათ ეუჩაში გამოსვლა.

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკადრო).

კარიკატურისტის კომენტარი

ამერიკის შეერთებულ შტატებს ვიეტნამის კამპანიაში მონაწილეობა, როგორც სენატორმა ბ. ბაიმ განაცხადა, 150 მილიარდი დოლარი დაუჯდა. (ბაზუმეგიდან).



ამაო ცდა.

გ. ლომიძის ნახატი.

ახალი მთავრობის კურსი

ანკარა, 8 აპრილი. (საკადრო). სულეიმან დემირელმა მის მიერ შედგენილი მთავრობის სახელით პარლამენტში გააკეთა საპროგრამო განცხადება.

საშინაო პოლიტიკის დარგში, თქვა მან, მთავრობა კვლავაც ეცდება უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიური სტაბილურობა, განახორციელებს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მას მიაჩნია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სამხედრო მრეწველობის შექმნა.

პრემიერ-მინისტრმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს გაუარესდა ამერიკის შეერთებული შტატების და თურქეთის ურთიერთობა, რაც გამოწვეულია თურქეთისათვის საბაჟოდრო მიწოდების შეწყვეტის შესახებ ამერიკის კონგრესის გადწყვეტილებით. თუ ამ გადაწყვეტილებას არ გაუქმებენ, ნაოქამია განცხადებაში, თურქეთი იძულებული იქნება განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მოითხოვს შექმნილი „ვითარება“. ამასთან განცხადებაში აღნიშნულია, რომ თურქეთის მთავრობის აზრით სატო „კვლავ ინარჩუნებს თავის როლს“.

თურქეთის მთავრობას, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, განზრახული აქვს თავისი წვლილი შეიტანოს დაძაბულობის შესუსტებაში. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია რწმენა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირი დადებით შედეგებს მოგვცემს.

ს. დემირელი შეეხო საბჭოთა-თურქეთის ურთიერთობებს და განაცხადა: „საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკაში ჩვენს დადებითი ძვრები, რომელსაც მივაღწიეთ ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების საფუძველზე, ჩვენ გულწრფელად გვსურს მივაღწიოთ შემდეგ პროგრესს ამ დარგში ამავე საფუძველზე“.

კვიპროსის პრობლემასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ „თურქეთის მთავრობის მიზანია მიაღწიოს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თურქთა თემის მომავლის მტკიცე გარანტია იქნებოდა და შეინარჩუნებდა კვიპროსის, როგორც დამოუკიდებელი ფედერალური სახელმწიფოს არსებობას“.

□

დაძაბულ ვითარებაში

ლონდონი, 8 აპრილი. (საკადრო). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა ორშაბათს საღამოს პარლამენტში განსახილველ სამდღიანი კამათი „საერთო ბაზრის“ გარშემო. მან ოფიციალურად შეიტანა თემთა პალატის დეპუტატების დასამტკიცებლად მთავრობის წინადადება, რომელიც უარჰყავს ინგლისს ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში დარჩენას იმ ახალი პირობების საფუძველზე, რომლებიც შეათანხმეს ცხრა სახელმწიფო წარმომადგენლებთან ლონდონის მოლაპარაკების მსვლელობაში.

კამათი დაიწყო დაძაბულ ვითარებაში. მის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ ჰ. ვილსონმა ფაქტიურად აკრძალა იმ მინისტრების გამოსვლა თემთა პალატაში, რომლებიც არ ეთანხმებიან მთავრობის რეკომენდაციას. ამ გადაწყვეტილებით მან სერიოზული ზიანი მიაყენა „საერთო ბაზრის“ მოწინააღმდეგეთა კამპანიის. ცნობილია, რომ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში ქვეყნის მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდის ინგლისის მთავრობის წევრთა თითქმის მესამედი.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პატრიოტები უტევენ

პანი, 8 აპრილი. (საკადრო). სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები კვლავ უტევენ საიგონის არმიის გამაგრებული პუნქტების სისტემას მეკონგის დელტის დასავლეთში საიგონის სამხრეთით. გუშინ სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა პარტიზანებთან ერთად რაკეტის, ნაღმსატყორცნისა და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგის 110-ზე მეტ სამხედრო ობიექტს, შეუტიეს საიგონის ჯარებს 19 პუნქტში. მათ გადაჭრეს მთელი რიგი გზატკეცილები და ჩაძირეს დიდი ბორანი, რომელზეც იყო რამდენიმე ათეული ჯავშანტრანსპორტიორი და სამხედრო სატვირთო მანქანა.

თხიეუმ გამოაცხადა, რომ საიგონში შემოდებულია საღამოობამდე 7 საათიანი საათი. ქალაქის მცხოვრებლებს აეკრძალათ ეუჩაში გამოსვლა.

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკადრო).

უცხოური მოზაიკა

მთვარე — „რადიოსარკე“

ლენინგრადი. შვედი რადიომოყვარულები ჩელ რასმუსონი და იუნგვე პერსონი მუშაობენ ულტრამოკლეტალღოვან დიაპაზონში, სადაც ტალღები, როგორც ცნობილია, ვრცელდება პირდაპირი ხილვადობის ფარგლებში, გამჭოლად არ გადის დაბრკოლებებში და თითქმის არ აღრეკლება ატმოსფეროს სხვადასხვა ფენებში. მიუხედავად ამისა, ისინი წარმატებით ელაპარაკებიან სხვა ქვეყნებისა და თვით კონტინენტების რადიომოყვარულებს... მთვარის დახმარებით.

რასმუსონი და პერსონი მთვარეს იყენებენ „რადიოსარკედ“. ისინი მოგვითხრობენ, რომ თავიანთი ექსპერიმენტები დაიწყეს უკვე მრავალი წლის წინათ და მაშინ, დიდ მომართულ ანტენას და მაღალგრძნობიარე აპარატურას რომ იყენებდნენ, ცდილობდნენ მიიღონთ მთვარისგან არეკლილი ხაკუთარი სიგნალები. მათ ძოახერხეს მიეღოთ მთვარის ეკო — ძალიან სუსტი სიგნალი, რომელიც დედამიწაზე დაბრუნდა ოთხწამიანი ინტერვალით. პირველი კონტაქტი რადიომოყვარულთან მთვარის მეშვეობით 1968 წლის სექტემბერში განხორციელდა: კალიფორნიელმა კოლეგამ გამოგზავნილია ბარათი მიღების დადასტურებით. ამის შემდეგ იყო კავშირი შვეიცარიასთან ისე დაშორებულ ქვეყნებთან, როგორიც არის ახალი ზელანდია, კანადა და პუერტორიკო. ერთადერთი დაბრკოლება, ამტკიცებენ ზემორეული კავშირის ეთუზიასტები, ულტრამოკლეტალღოვან დიაპაზონში ღრუბლებია. თუ მთვარე დაფარულია ღრუბლებით, კავშირი არ არის.

სამი ათასი წლის მარშრუტით

ამას წინათ ბომბეის ნავსადგურში იალქნიანი ნავი მოვიდა. მის ეკიპაჟში ოთხი კაცია: 48 წლის დიტრიხ დომბრე, მისი ცოლი იზაბელა და მათი ვაჟიშვილები — 18 წლის უდეკსტერი და 12 წლის ლორენსი.

ორწელიწადნახევრის წინათ, ლიბანში რომ დადგა, მათს ნავს უკვე შემოვლილი ჰქონდა აფრიკისა და აზიის 27 ქვეყანა. იალქნიან ნავს „ფინიკია“ დაარქვეს, მაგრამ ეკიპაჟმა ძიზნად დაიხახა გაიაროს იმ მარშრუტით, რომლითაც დადიოდნენ ფინიკიელი ზღვაოსნები სამი ათასწლეულის წინათ, წინ კიდევ 28 ქვეყანაა.

დომბრეს სჯერა, რომ ფინიკიელებმა პირველებმა დაიწყეს იალქნებით სვლა მატერიკების სანაპიროს გაყოლებით დიდ მანძილებზე. მას მიაჩნია, რომ კოლუმბზე ბევრად ადრე ფინიკიელებმა ამერიკის კონტინენტზეც იყვნენ.

ურანი ზღვის წყლიდან

წელს იაპონია მსოფლიოში პირველი გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს ზღვის წყლიდან ურანის ამოსაღებად სამრეწველო მასშტაბებით. ფინანსთა სამინისტრომ ამ მიზნით 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო 130 მილიონი იენი. საცდელი დანადგარი საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 6 წლის შემდეგ.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ უკვე 1990 წელს ზღვის წყლიდან მოპოვებული იქნება 2.250 ტონა ურანი, ე. ი. დაახლოებით 15 პროცენტი მთელი ბირთვული ხაწვავისა, რომელიც საჭიროა იაპონიის ატომური ელექტროსადგურებისათვის. გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ ზღვის წყალში გახსნილი ურანის მოპოვება ორ-სამჯერ უფრო ძვირია ამ სახის სათბობის მიწის წიაღიდან ამოღებასთან შედარებით. მაგრამ იაპონია ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით მზად არის გაიღოს ეს ხარჯები.

ბიზნესი კაპიტალის სამყაროში

„ზღვის რომანტიკოსის“ მილიარდები

დასავლეთის გაზეთები და ჟურნალები ახლა ბევრს წერენ, თუ სადან წარმოსდგება აურაცხელი სიმდიდრე არისტოტელ ონასისისა, რომელიც ამას წინათ მოკვდა პარიზში 69 წლის ასაკში. სახოტბო სტატიებში მილიარდერს ხატავენ რაღაც „ზღვის რომანტიკოსად“, მეცენატად; ფილანთროპად. მაგრამ სინამდვილე სრულებითაც არ შეესაბამება ამ სახეს.

თექვსმეტი წლისა იყო ონასისი. როცა იზმირიდან, სადაც თამბაქოს ვაჭრის ოჯახში დაიბადა, შორეულ არგენტინაში გაემგზავრა. მასთან ერთად ეს გზა გაჰყვნა, სიბაყოს დაბრკოლებათა გადალახვით, პატარა ჩემოდანმა, რომელშიც ჩინებული თურქული თამბაქო იყო. ლეგენდა ამტკიცებს, რომ ერთი წლის შემდეგ ონასისი ღამის ტელეგრაფისტად მუშაობდა. მაგრამ, ცხადია, რომ კონტრაბანდული თამბაქოს ვაჭრობით კი არა და, არც დეპეშების დარიგებით მოახერხა მან 26 წლის ასაკში ხომალდების ფლოტილის მფლობელი გამხდარიყო.

1930 წელს, როცა კაპიტალისტურ სამყაროს უმაგალითო ეკონომიური კრიზისი არყევდა, ონასისი ვწეოდა გაკოტრებულ ჯემთმფლობელთა ხომალდების ჩალის ფასად შესყიდვას.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ბიზნესის ყველა სახეობათაგან განსაკუთრებით შემოსავლიანია საბრძოლო ბიზნესი. 1935 წელს, როცა მუსოლინი აბისინიაში შეიჭრა, აფრიკაში იგზავნეოდა ბომბი იტალიელ ფაშისტთა ჯარებით. ხომალდები არ ჰყოფნიდათ. სხვა ქვეყნების ბევრი გემთმფლობელი „უარს ამბობდა ფაშისტებთან გარიგების დადებაზე. ონასისმა კი გადაწყვიტა სარფი მიეღო ეთიოპიელი ხალხის სისხლით და აგრესორების განკარგულებაში გადასცა თავისი სატრანსპორტო გემები. მეორე მსოფლიო ომის წინადღეებში ონასისმა პირველად იყიდა ტანკერი. იგი მიხვდა, რომ ნავთობის გადაზიდვა მილიონობით მოგებას უქადდა. 1945 წელს ონასისმა კოლოსალური აფორია მოაჭასრაკა: მიიღო უდიდესი ფულადი კომპენსაცია თავისი გემებისათვის, რომლებიც საომარი მოქმედების მსვლელობაში პიტლერელებმა ჩაძირეს. ამ ფულით ონასისმა იყიდა „ლიბერტის“ ტიპის 17 მძიმეტონაჟი ამერიკული ხომალდი და გადააკეთა ისინი ტანკერებად. და ონასისის სეიფებში ახლომა მილიონებმა იწყო შესვლა. განსაკუთრებით მაღლა წავიდა ონასისის საქმეები 1956 წელს — ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის შემდეგ, როცა სუეცის არხი დაიხურა. სწორედ მაშინ ონასისის ფლოტილია შეიავსო სუპერტანკერებით, რომელებსაც დიდძალ საფასურად მილიონობით ტონა ნავთობი გადაჰქონდათ. კიდევ უფრო გაიჩარხა მილიარდერის საქმეები 1967 წელს არაბულ-ებრაელების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შემდეგ. 1969 წელს 100 ათასი ტონა ტვირთამწეობის ტანკერის დაფრახტება ერთ რეიზზე სპარსეთის ყურეთან ინგლისამდე 600 ათასი დოლარი ჯდებოდა. ერთი წლის შემდეგ ამ ციფრმა ორ მილიონ დოლარამდე აიწია. 1970 წელს შემოდგომაზე „ზღვის რომანტიკოსმა“ შელის კომპანიის ერთჯერადი იჯარით გადასცა თავისი ერთ-ერთი ტანკერი 200 ათასი ტონა წყალწყვილის. მის მარტო ერთ რეისზე ონასისის ამონაგები 5 მილიონ დოლარს შეადგენდა. უკანასკნელ წლებში ონასისის წმინდა მოგება ყოველწლიურად ას მილიონ დოლარს აღწევდა. ამერიკელი ჟურნალისტი ფრედ სპარკი ონასისსა და მის ცოლ ჯაკლინზე — პრეზიდენტ ჯ. კენედის ქვრივზე — წერდა: „პირველი მაგნატი გემთმფლობელი და ამერიკის ყოფილი პირველი დამა ისე ცხოვრობენ, რომ თვით ლუი XIV-ს შეშურდებოდა. მათ ვერსალი არა აქვთ, მაგრამ მათ აქვთ მდიდრული რეზიდენციები, სადაც პერსონალი ყოველთვის მზად არის მიიღოს ისინი ყოველ მომენტში: ვილა მონტე-კარლოში (7 მსახური), ბანიენდა მონტევიდეოში (38 მსახური), აპარტამენტები პარიზში (5 მსახური), ბინა ბუენოს აეროსში ნიუ-იორკში (5 მსახური), ვილა ბლიფადში ათენის მიდამოებში (10 მსახური), ციქრო კუმბული სკორპიოსი (72 მსახური). ეკიპაჟი იახტა „კრისტინასი“, რომლის ღირებულება 30 მილიონი დოლარია, შედგება 65 კაცისაგან ჯლუს ჰიდროთვითმფრინავის პილოტი. და, ბოლოს, ცოლქმარს აქვს მუდმივი ნომრები ოტელებში — „პიერსსი“ (ნიუ-იორკში) და „ალარიჯში“ (ლონდონში).

**ხელოვნების ნაწარმოებთა დარგში საერთაშორისო სპეციალისტებს, — განაგრძობს სპარკი, — მიაჩნიათ, რომ ცოლ-ქმარ ონასისებს ხელოვნების 138.750 ათასამდე ფრანკის ოდენობა ეკუთვნოდა. ეს ფასეულობა ფაშისტებმა ჩამოართვეს ებრაელ ოჯახებს. ამ ფასეულობათა ნაწილი ბ. ბერენსონმა, ებრაელ ბანკირმა, ონასისს ჩამოართვა ფულად ანაზღაურებად. ეს ფასეულობანი ონასისმა ინახავდა ელვეციის ბანკებში



ფ ო თ ი. ქალაქის ცენტრალური მოედანი.

ი. ბოსოლოველიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი ჩემპიონები, პერსპექტივები

VI სპარტაკიადა ხალხთა მეგობრობისა 1975 СССР

რუსთავის საფარიკაო ბილიკებზე

რუსთავში ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ფარიკაობაში. უკანასკნელი შეხვედრები შედგა 7 აპრილს.

6 გუნდის 120 წარმომადგენელი გამოვიდა სტარტზე, მოფარიკავეებმა გამომაჭღავნეს კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება თბილისელებს ხვდათ (115 ქულა). მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ნაკრებში შედის და მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალში. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ქუთაისის (48 ქულა) და აჭარის (39 ქულა) გუნდებმა.

აი ჩემპიონები, პრიზიორები საკაობათა მიხედვით: დაშნა — ი. ეიბარუნიძე (თბილისი), თ. მანაგაძე (ქუთაისი), დ. დავითაშვილი (თბილისი); რაპირა (ვაჟები) — რ. გიორგაძე, გ. მეშველიანი, გ. აბაშიძე (სამივე თბილისიდან); რაპირა (ქალები) — მ. გეჯაძე, მ. გაბუნია, დ. ბუხრაშვილი (სამივე თბილისიდან); ხმალი — ა. გაგულაშვილი (ქუთაისი), თ. მორჩილაძე (აჭარა), თ. ბობოხიძე (ქუთაისი).

პირადი პირველობის პარალელურად მიმდინარეობდა გუნდური შეჯიბრება. ყველა სახეობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარ მწვრთნელს ფარიკაობაში მ. სახვაძეს მოკლედ მიმოეხილა სპარტაკიადის შედეგები და ელაპარაკა პერსპექტივებზე.

— საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით ვათვალისწინებული მოფარიკავეთა ასპარეზობა რუსთავში, — თქვა მან, — მინსკის ფინალური ტურნირის წინ ძალთა მთავარი შეძლებაა იყო. კმაყოფილი ვართ შედეგებით, გამოვლინდა ჩვენი მოფარიკავეების მომზადების დონე, გავეცანით ახალ ჩემპიონებს, პერსპექტიულ სპორტსმენებს. ყველასათვის მოულოდნელი იყო რაპირისტ ვაჟთა შორის თბილისის მე-60 სკოლის მოფარიკაგის რ. გიორგაძის გამარჯვება. ასევე ითქმის რაპირისტ ქალთა შორის თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის მ. გეჯაძის წარმატებაზე. მათ სპარტაკიადის ჩემპიონობასთან ერთად დაიმსახურეს იყონ საქართველოს ნაკრების წევრები.

ახლა მთავარია არ შევანელოთ მზადება მომავალი საპასუხისმგებლო შეხვედრებისათვის. რაპირისტ ქალებს მოუწევთ მინსკის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, დაშნით მოფარიკავეები კი გაემგზავრებიან ტალინში, სადაც აგრეთვე მოეწყობა საერთაშორისო შეხვედრა. ამის შემდეგ ერთთვიანი შეკრება გვექნება სოხუმში, შემდეგ კი გვეგზავრებით მინსკში, სადაც 8 ივნისიდან იწყება სსრ კავშირის VI სპარტაკიადის ფინალური შეხვედრები ფარიკაობაში.

ჭადრაკი

დღეს, 9 აპრილს

იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში დღეს იწყება საინტერესო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ვაჟთა შორის, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდოსტატები გიპსლისი (საბჭოთა კავშირი), ველიმიროვიჩი, მატულოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), იანსა (ჩეხოსლოვაკია), ტრიხვეი (ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები. მეჯიბრება 29 აპრილამდე გასტანს.

ნონა გაფრინდაშვილი, როგორც ცნობილია, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირების ხშირი სტუმარია, სადაც ყოველთვის წარმატებით გამოდის. საერთაშორისო ტურნირში მისი მონაწილეობა მსოფლიო პირველობის მატჩისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია.

ძალიან საინტერესო იქნება ამ შეჯიბრებაში დრაგან ველიმიროვიჩის გამოსვლა. ველიმირვიჩი, თუ შეიძლება ასე თქვას, „შთამომავლობითი მოჭადრაკეა". მისი დედა იოვანკა ადრე იუგოსლავიის ჩემპიონი იყო. ამასწინათ 32 წლის ველიმირვიჩი იუგოსლავიის ჩემპიონი გახდა, თუმცა ამ ასპარეზობაში ჯანთქმული დიდოსტატები ლიუბოეიჩი. და ალეგორიჩი თამაშობდნენ. ველიმიროვიჩი თამაშის უმწვავესი სტილით გამოირჩევა, რისთვისაც მას „იუგოსლავიის ტალს" უწოდებენ. „მე სრულიადაც არ მეშინია წაგებისა, — განაცხადა ამ დიდოსტატმა — მაგრამ აი, პარტია რომ ყაიმით მთავრდება, იმ დღეს თავს უბედურად ვთვლი". სხვა ინტერვიუში ველიმიროვიჩმა თქვა: „10 წლის წინათ სერიოზულად ფიქრობდი, რომ შემეძლო მსოფლიოს ჩემპიონი გავმხდარიყავი. ახლა უკვე მიმაჩნია, რომ ვგვინდა".

მეორე ცნობილ დიდოსტატს მიოან მატულოვიჩს „მუდმივ ოპტიმისტს" უწოდებენ. ცოტა ხნის მომდევნ იგი მსოფლიოს პირველობის ზონალურ ტურნირში ითამაშებს, რათა შეეცადოს საზონათაშორისო არსპარეზობაში მონაწილეობის უფლება მიიღოს. ასეთ საზონათაშორისო ტურნირში, მატულოვიჩმა ერთხელ უკვე ითამაშა — სუსში 1967 წელს. მატულოვიჩი თამაშის ენერგიული სტილით გამოირჩევა. იგი ბევრი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. მატულოვიჩს თითქმის ყოველთვის „ჯანდაღებული აქვს" ხოლმე საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადებში მონაწილეობა, სადაც წარმატებით იცავს იუგოსლავიის ნაკრების ფერებს.

ვლასტიმილ იანსა ახლა ჩეხოსლოვაკიის № 3 მოჭადრაკეად ითვლება ცნობილი დიდოსტატების ჯორტისა და სმეიკალის შემდეგ. იგი ეს-ეს არის დაბრუნდა კუბიდან, სადაც „აპპალანჯას მემორიალში მონაწილეობდა. გიორგი ტრიხვეი კი ბულგარეთის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატია, იგი წარმატებით თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ნონა გაფრინდაშვილის მეჯიბრეზე, რომელი დიდოსტატის ავთარ გიპსლისს შესახებ. იგი ახლა ჩინებულად თამაშობს. მარტში მან მეექვსე პრიზი მოიპოვა ტალინში, სადაც, როგორც ცნობილია, მეტად ძლიერი შემადგენლობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.

მ. გამრეკელი.



გამოფენა ციკლიდან „ხალხთა მეგობრობა"

ქართველი მხატვარი მონგოლეთში

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოთ, რომ გამოძეძლობა „მერანმა" კარგ ტრადიციად დაამკვიდრა გამოფენების მოწყობა. ამჯერად გამოძეძლობის ფოიე რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის **ნიკოლოზ მეტონიძის** პერსონალურ გამოფენას ჰქონდა დათმობილი.

უცხოეთში ორი თვის მანძილზე შექმნილი 60-მდე ნამუშევარი შემოქმედებითი მიგნებების ნაყოფიერად გამოყენების მეტყველ საბუთს წარმოგვიდგენს. ძართალია, ანალოგიური „ნადაღლით" დაბრუნებას საკმაოდ შეგვაჩვიეს ფუნჯოს ოსტატებმა, მაგრამ ამჯერად, ჩემი აზრით, ის გარემოება იჩენს თავს, რომელიც ქართველი მხატვრის ფუნჯით გამოხატულ ამ სულიერ მოძრაობას განსხვავებულ და ცალკეულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ამის შესაბამისად ჩვენს ყურადღებას გარკვეული მიმართულებით ეამახვილებთ, ვინაიდან ღრმად გვწამს, რომ როცა დაიწერება მონგოლეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობა და დამძმობლების სქელტანიანი წიგნი, ისტორიკოსს საძებარი არ გაუხდება სახელი იმ კაცისა, რომელმაც ქართველთა შორის პირველმა სცადა, რომ დღევანდელი მონგოლეთის თვალსახარა ფერები ქართველი კაცის გულთან მეტანა.

ეს მომენტი პრინციპულად ყურადსაღებია, რაოდენ მოკრძალებულადაც უნდა შეფასდეს დაუღალავი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი ფერმწერის წვლილი. ეფიქრობთ იმასაც, რომ ამგვარი გამოფენა ახალ ძიებებს უსახავს ჩვენს პედაგოგმეთოდისტებს ისტორიული კონტრასტების წარმოჩენის საშუალებათა გამდიდრების მიზნით. მით უფრო, რომ დრო მოითხოვს სწავლების პროცესში თვალსაჩინოებათა უფრო აქტიურ გამოყენებას.

წარმოვიდგინოთ ნორჩი არსების ფორმირებაში გამოყენებული ორი სურათი: ყაენთა თარუშით გაჩეხილი ვეხახი და შვიდი საუკუნის შემდეგ ჩვენივე მხატვრის მიერ ფერადი ტუშის მაჯორული ტონალობით გამოხატული მოწოდება „ელექტროფიკაცია მონგოლეთს!" — გვითხრა შთაბეჭდილების გაზიარების დროს სამხატვრო აკადემიის პროფესორმა ფ. ლაპაიძეცმა. როცა გამოფენაზე წარმოდგენილ ხსენებულ სურათს ვაკვირდებოდით.

6. მეტონიძეს უმთავრესად პეიზაჟი იტაცებს და უპირატესად მშობლიური რაკის ბუნებას უმღერის. სწორედ ამ პატრიოტი მხატვრის ინიციატივით ამბროლაურში ქალაქის კულტგანყოფილების (გაძეგ ბ. ხეფსწყვეტიძე) აქტიური მხარდაჭერით 1965 წელს დაარსდა სახეითი ხელოვნების მუზეუმი. 6. მეტონიძე მშობლიური კუთხის ბუნების ტრფიალში გაიზარდა. მართებულად აღნიშნავს ხელოვნებათმცოდნე გულნარა ჯაფარიძე, რომ ამიტომაც ქართველი მხატვრისათვის უდაბნოც კი ცოცხალი ორგანიზმია. და ნამდვილად 6. მეტონიძის „გობის უდაბნო" ისე როგორც მხატვრის სხვა სურათები „ფოთელ მთებთან," „მწვანე ქვის კუ", თუ „ფოთელი ბოგდა", „ულან-ბატორის მიდამოები", „ალმასების ხეობა" მნახველს მხატვრის თვალის ამ საინტერესო თავისებურების აღსაქმელად განაწყობს.

გამომცემლობა „მერანის" კიდევ ერთმა კარგმა თაოსნობამ კვლავ დაგვარწმუნა, თუ ხალხთა ურთიერთსასაკეთო ხიდების რაოდენ გამჩრიახი მშენებელია მხატვრის ფუნჯი.

მ. გიჟიმურელი.

სურათებზე: მხატვარი 6. მეტონიძე; მონგოლური ჩანახატი „ულან-ბატორში".



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ᲝᲜᲘ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲢᲐᲢᲒᲐᲠᲛᲨᲔ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲕᲘᲕᲐᲜᲘ

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ საროიოსო კულტურის სახლთა ტერიტორიაზე ოიუყო შოთის დიდების ხევიანი, ო�ელიც წელს კიდევ უფრო გალამაზდა. ხევიანს ათავიანი ალეი უკრავს რაიონის სოფლის მეურნეობაი, მრეწველობაი, კულტურის, ჯანმრთელობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგებში შრომაში გამარჯვებულ მოყვანილ ადამიანთა დიდ ფოტოსურათებს.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲐᲒᲘᲜᲨᲘ გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად კულტურაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო ლიტერატურის გამოფენები. გაკეთდა ალკაკატები, შედგენილია საახალი დიდების ალბომები, ორმლებიც ავსება ახალ-ახალი მასალებით. სასოფლო კლუბებში ეწყობა შეხვედრები ომიანი ომის მონაწილეებთან. სახალხო თეატრი ამ თარიღთან დაკავშირებით ამზადებს ახალ სპექტაკლს — ვ. ბერაძის „ᲛᲨᲝ ნეკერჩლის ტყეში".

ᲛᲝᲠᲘᲒ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ

ᲙᲐᲠᲗᲘᲡ რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა მორიგი მეცადინეობა თემაზე — „ადამიანის შეგნებაში და ქცევაში წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლა შრომელთა კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი პირობაა". მოხსენება წაიკითხა პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ზ. გაყრელიძემ. „ქართული კულტურის მოღვაწენი დიდ სამამულო ომში" — ისეთი იყო შროიძელთა ლეპტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგის მ. ჯაფარიძის მოხსენების თემა.

ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲝ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡ საზოგადოების წევრებმა წლევანდელი წლის სამონადირეო სეზონში მკაცრი ზამთრის პირობებში ბევრი საშიში მტაცებელი ნადირი განადგურეს. ღარეული ი. არჩვაძემ მოკლა ორი მგელი, ხუთი მელა და ერთი კვერნა, სორელმა შ. ჭიჭინაძემ ერთი მგელი და ორი მელა, გომელმა ვ. ჩიხრაძემ და ნიგვზნარელმა ლ. გომეჯიშვილმა კი თითო მგელი.

ნ. ᲓᲣᲨᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲣᲨᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ. (საკ. კორ.) თიანეთის რვაწლიანი სკოლის მუშზეუმი არსებობის რამდენიმე თვეს ითვლის, მაგრამ მის ფონდში ბავშვების მიერ სიყვარულით შეგროვილი ბევრი ეგზანატია. მნახველთა ყურადღებას იპყრობს უძველესი სასოფლო-სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, როგორიც არის ხმალი, გუთნის სახნისი, ხევსური მეომრის ჩაჩქანი, სამკლავეები, საბრძოლო ფარი, ეერცლისა და სპილენძის. უძველესი მონეტები. საინტერესოა ფოტოსტენდი, რომელიც ასახავს ეერის-პირთან წარსულსა და აწმყოს, აქ ანეს ფოტოსტენდი „კომუნა ერწოში".

მუზეუმში ცალკე კუთხე აქვს დათმობილი ლამაზად გაფორმებულ ალბომებს, რომლებიც ასახავენ რაიონის მოწინავე ადამიანების ცხოვრება-მოღვაწეობას, სამამულო ომის გმირების თავდადებას.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ვ. ვ. სალიბეგაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილედ.



ᲤᲣᲜᲯᲚᲘᲡ ᲥᲑᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲥᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ კარიესი გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც დიდი ტანჯვა მოსდევს ბავშვებისთვისაც და მოზრდილებისთვისაც. მის გამომწვევ მიზეზთა შორის ყველაზე სერიოზულია წყალში მაკროელემენტების, კერძოდ ფთორის ნაკლებობა. ქორმონებთან, ცილებთან, ფერმენტებთან და ვიტამინებთან ურთიერთმოქმედებისას მაკროელემენტები, როგორც გამორკვა, უალრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმ პროცესებში, რომლებიც ორგანიზმში მიმდინარეობს.

კბილების კარიესის მასობრივი პროფილაქტიკისათვის რეკომენდებული იყო წყალსადენის წყლის ხელოვნურად გამდიდრება ფთორით ორგანიზმისათვის ფიზიოლოგიურად სასარგებლო ნორმამდე. ეს ეხება ეწინარე ყოელისა იმ დასახლებულ პუნქტებს, სადაც ფთორის შემცველობა წყალში მცირეა. ჩვენი ქვეყნის ათეულობით დიდ და პატარა ქალაქში (ნორილსკში, მურმანსკში, ოლენეგორსკში, კიროვსკში, მონჩეგორსკში, აგრეთვე ლენინგრადში, დუბნაში, ივანო-ფრანკოვსკში, ტაშკენტში და სხვ.) დღეს უკვე ხდება წყალსადენის წყლის ფთორირება.

უცხოელი და საბჭოთა მეცნიერების მრავალი წლის კვლევა ადასტურებს, რომ კარიესით დაავადება ასეთი ზომების შედეგად მნიშვნელოვნად კლებულობს, და რომ ფთორით გამდიდრებული წყლით სარგებლობა სულაც არ არის მავნე. კარიესის საწინააღმდეგო ეფექტი მალე იჩენს თავს, მაგალითად, ოლენეგორსკის ათწლიანი ბავშვების დაავადებამ უკვე ერთი წლის შემდეგ იკლო საშუალოდ 5,6 პროცენტით, ხუთი წლის შემდეგ კი იმავე ასაკის მოსწავლეთა შორის მურმანსკში — 24,8 პროცენტით. ანალოგიური შედეგები აღნიშნულია სკოლამდელი ასაკის ლენინგრადელ ბავშვებში, რომლებიც ოთხ წელიწადს იღებდნენ ფთორირებულ წყალს, დუბნის სკოლამდელი ასაკის ბავშვებში. ფთორის სპეციფიკურ მოქმედებას ხელს უწყობდა, რა თქმა უნდა, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ეფრო რაციონალური კვება, ბავშვების ულტრაიისფერი დასხივება და მთელი რიგი სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

შემჩნეულია, რომ ფთორირებული წყლის გამოყენების ეფექტი დროთა განმავლობაში განუხრელად იზრდება. მაგალითად, ორი წლის შემდეგ ნორილსკელი შეიდწლიანი ბავშვების საარძევე კბილების კარიესმა იკლო 10,5 პროცენტით, ხოლო შვიდი წლის შემდეგ — 31,1 პროცენტით, კიდევ უფრო დამაჯერებელია მონაცემები ბუდმივი კბილების კარიესით დაზიანების შემცირების შესახებ. დამახასიათებელია, რომ პარალელურად კლებულობს გულსისხლძარღვთა დაავადებების, რეგმატიზმის მრუდი, რამდენადაც ითანი ცოტად თუ ბევრად დაკავშირებული არიან ინფექციასთან კბილების არეში.

მცირე მნიშვნელობა როდი აქვს სახსრების ეკონომიასაც: წყალსადენის წყლის ფთორირებისა ხარჯები (ერთ ადამიანზე გადაანგარიშებით წელიწადში) რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე ერთი კარიესიანი კბილის დაპლომბვა ღირს. გარდა ამისა, თითქმის ერთი მესამედით უმცირდებათ მუშაობის მოცულობა სტომატოლოგებს, და მათ ამის მეშვეობით შესაძლებლობა ეძლევათ დრო და ძალები დაუთმონ სხვა ავადმყოფობათა პროფილაქტიკას.

წყლის ფთორირება დიდი სოციალურ-ჰიგიენური მნიშვნელობის ღონისძიებაა. შემთხვევითი როდია მიღებული გადაწყვეტილება — გაუართოვდეს პროფილაქტიკის ზონა და უახლოეს წლებშივე შემოღებულ იქნას მაფთორირებელი დანადგარები ჩვენი ქვეყნის 60-ზე მეტ ქალაქში, რომელთა მოსახლეობაა 30 მილიონამდე ადამიანი.

მ. ტიმონოვი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

(სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).

ᲙᲝᲙᲔᲘ

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ მიუნხენში (გერ) პოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გიმართა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი, გათამაშების ლიდერებს — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 5:2 გამარჯვეს ჩეხნმა ჰოკეისტებმა, რომლებიც ერთობიერთულად ლიდერობენ ჩემპიონატს — 8 ქულა 8 შესაძლებლიდან.

მომდევნო შეხვედრას საბჭოთა ნაკრები გამართავს ხვალ შეეკეის გუნდთან. **ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ 23 ᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ 15 ᲬᲣᲗᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲘᲗ.**

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" ᲙᲘᲔᲕᲘ — „ᲔᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲘ"

ᲓᲦᲔᲡ უკრაინის დედაქალაქში გაიმართება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი კიევის „დინამოსა" და ჰოლანდიის კლუბ „ეინდჰოვენს" შორის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს პირველობის მეზუთე ტური ფეხბურთში. გათამაშების დებიუტანტმა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა სოხუმში ფრედ — 1:1 ითამაშა ადგილობრივ „ენინამსთან" და ახლა 9 ქულით (ათი შესაძლებლიდან) ლიდერობს ტურნირს.

წარმატები გამოდის ფოთის „კოლხეთიც", რომელიც 8 ქულით მეორე ადგილზეა, თუმცა მან პირველი მარცხიც განიცადა თელავის „კახეთთან" — 0:2.

მომდევნო ადგილებზე იმყოფებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, სოხუმის „დინამოსა" და თელავის „კახეთის" გუნდები — შვიდშვიდი ქულა. განვლილ ტურში თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა მინიმალური ანგარიშით 1:0 მოუგეს წულუკიძის „იმერეთს", ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ასპინძის „ვარძია".

ᲝᲗᲮᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ სპორტის სასახლეში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში პოლონეთის ქალაქ ლოძის „ანილასის", ბაქოს „მეხსიერების", ერევნის „ბურევესტნიკისა" და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის.

პირველ ტურში პოლონელებმა დაამარცხეს ბაქოელები — 25:20, ქართველმა სტუდენტებმა — ერევნელები — 31:30.

გუშინ ჩვენმა გუნდმა ფრედ ითამაშა „მეხსიერებასთან" 27:27, ხოლო „ანილასმა" დაამარცხა „ბურევესტნიკი" — 20:19.

დღეს ტურნირზე უკანასკნელი დღეა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. კიევის „სპარტაკის" ქალთა გუნდმა ზაგრებში დაამარცხა ადგილობრივი „ლოკომოტივი" — 14:10 (8:5) და ევროპის ჩემპიონთა თასის ხუთეულის მფლობელი გახდა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს უძლიერეს გუნდებს შორის. ქალებში პირველობა მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის, ხოლო ვაჟებში — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

Ა. Ა. ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲖᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სიცოცხლის 62-ე წელს გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკის ერთ-ერთი გამორჩენილი ელმავალმშენებელი, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი, სკკპ წევრი 1939 წლიდან ᲐᲠᲩᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ა. ა. მასხარაშვილი დაიბადა 1913 წელს ცხაკაიის რაიონის სოფელ შხეფში, მოსამსახურის ოჯახში. თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1934 წელს შრომითს საქმიანობას იწყებს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში ოსტატად. 1949 წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ა. ა. მასხარაშვილი ამთავრებს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტს.

1949 წელს ა. ა. მასხარაშვილი გადაყვანილ იქნა თბილისის ელმავალშემკეთებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად. 1957 წლიდან იგი თბილისის ელმავალსაამშენებელო ქარხნის მთავარი ინჟინერია.

1968 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ა. ა. მასხარაშვილი მუშაობდა თბილისის ელექტროვაგონშეკეთებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად. ა. ა. მასხარაშვილი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად. არაერთხელ იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ყველა უბანზე, სადაც კი გზავნიდა მას პარტია, ა. ა. მასხარაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა და ორგანიზატორმა, პრინციპულმა ხელმძღვანელმა.

თავმდაბალი, გულისხმიერი, ფურადღებიანი ადამიანი, იგი დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა.

მთელი თავისი ძალა და ენერგია ა. ა. მასხარაშვილმა მოახმარა პარტიისა და ხალხის სამსახურს. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ა. ა. მასხარაშვილის დამსახურებას ხალხის წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და ხუთი მედლით.

ა. ა. მასხარაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს მოძრავი შემადგენლობის რემონტისა და სათადარიგო ნაწილების წარმოების მთავარი სამმართველო; ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირთა საგზაო საბჭო; თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

Ა. Ა. ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1975 წლის 9 აპრილს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში — საკაძის III შესახვევი № 9. გამოსვენება 10 აპრილს დღის 5 საათზე სტალინის სახელობის კულტურის სახლიდან (ოქტომბრის ქ. № 26).

დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ᲜᲐᲬᲝᲕᲜᲘ ᲗᲝᲗᲮᲗᲐ ᲞᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ოტრადნენის ი. პ. პუზირევის სახელობის სახალხო მუზეუმს შეემატა საინტერესო ექსპონატი — ბრინჯაოს ნამგალი. იგი შემთხვევით იპოვნა დასახლება მაიაკის მექანიზატორმა მ. აფანასიევმა კულტურის სასახლის საძირკვლის ჩაყრის დროს. არქეოლოგების დასკვნით ეს უძველესი იარაღი დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ არის დამზადებული. ნაპოვნი ნამგალი რამდენადმე განსხვავდება თანამედროვე იარაღისაგან. იგი მოღუნული კონფიგურაციით შედარებით პატარა ზომისაა, მაგრამ საკმაოდ მოზრდილი პირი აქვს, რომელიც პატარა ჭრილებით მთავრდება. („უკრაინსკაია პრავდა").

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მომგებიანი ანაბრის მოგებათა 65-ე ტირაჟისა, რომელიც შედგა ქ. კასპში 1975 წლის 3 აპრილს

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშის №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშის №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან
ა 31	25%	ა 534	25%
ა 42	25%	ა 562	25%
ა 113	25%	ა 613	25%
ა 128	25%	ა 679	25%
ა 175	25%	ა 705	25%
ა 239	100%	ა 741	50%
ა 249	25%	ა 777	25%
ა 309	25%	ა 803	200%
ა 341	25%	ა 868	50%
ა 379	25%	ა 914	25%
ა 435	100%	ა 945	25%
ა 451	25%	ა 976	25%
ა 490	25%		

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი მეტია, მოგება უველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიცაა პირველ ათასეულში ა 1031, ა 2031, ა 3031, ა 1042, ა 2042, ა 3042 და სხვა.

ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲩᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე Ჩ. ᲯᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲘᲠᲐᲕᲭᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲓᲒᲘᲚᲘ

სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი Ა. ᲨᲐᲢᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი Გ. ᲑᲘᲖᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘ